

საგრანტო და განხორციელების შეთანხმება

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა (MCC)

და

საქართველოს მთავრობას

წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ

შორის

ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის მომზადებისათვის

13 ივლისი, 2012 წელი

სარჩევი

მუხლი 1	MCC გრანტი
ნაწილი 1.1	MCC გრანტი
მუხლი 2	მთავრობის წარმომადგენლობები, გარანტიები და შეთანხმებები
ნაწილი 2.1	მთავრობის წარმომადგენლობები და გარანტიები
ნაწილი 2.2	მთავრობის პასუხისმგებლობები და შეთანხმებები
მუხლი 3	საგრანტო თანხის ჩამორიცხვა
ნაწილი 3.1	თანხის ჩამორიცხვის მეთოდი
ნაწილი 3.2	თავდაპირველი ჩამორიცხვის პირობები
ნაწილი 3.3	თითოეული ჩამორიცხვის პირობები
მუხლი 4	განხორციელების სტრუქტურა
ნაწილი 4.1	609(გ)-ის განხორციელების გეგმა
ნაწილი 4.2	MCC-ს პროგრამის შესყიდვების დირექტივები
ნაწილი 4.3	ფისკალური ანგარიშგება
მუხლი 5	ანგარიშგებები, ჩანაწერები და აუდიტი
ნაწილი 5.1	ანგარიშგები
ნაწილი 5.2	მომწოდებლები
ნაწილი 5.3	მთავრობის საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები
ნაწილი 5.4	აღრიცხვა, ანგარიშგება
ნაწილი 5.5	ხელმისაწვდომობა, აუდიტი
მუხლი 6	გრანტის მოქმედების ვადა, შეწყვეტა და შეჩერება
ნაწილი 6.1	გრანტის მოქმედების ვადა
ნაწილი 6.2	შეწყვეტა და შეჩერება
ნაწილი 6.3	თანხის დაბრუნება
მუხლი 7	ზოგადი დებულებები
ნაწილი 7.1	მარეგულირებელი კანონმდებლობა; კონსულტაციები
ნაწილი 7.2	წარმომადგენლობა
ნაწილი 7.3	კომუნიკაცია
ნაწილი 7.4	მონაწილე მხარეები
ნაწილი 7.5	მხარეთა შორის ურთიერთობა
ნაწილი 7.6	MCC სტატუსი
ნაწილი 7.7	საჯაროობა; ინფორმაცია და აღნიშვნა
ნაწილი 7.8	შემდგომ დახმარებასთან დაკავშირებით გარანტიის არ არსებობა

ნაწილი 7.9	ცვლილებები
ნაწილი 7.10	განუყოფელობა
ნაწილი 7.11	სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე უარის არ არსებობა
ნაწილი 7.12	მოქმედების ხანგრძლივობის შენარჩუნება
ნაწილი 7.13	შეთანხმების ენა
ნაწილი 7.14	ინტერპრეტაცია
ნაწილი 7.15	მითითებები MCC-ის ვებ-გვერდზე
ნაწილი 7.16	მითითებები კანონებზე, რეგულაციებზე, კურსზე და დირექტივებზე
ნაწილი 7.17	მთლიანი შეთანხმება
ნაწილი 7.18	გრანტზე მითითება

დანართი A განმარტებები

დანართი I დახმარების აღწერა

დანართი II გადასახადების გადახდის პროცედურები

საგრანტო და განხორციელების შეთანხმება

წინამდებარე საგრანტო და განხორციელების შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დათარიღებული ---
 - ---- 2012წ. გაფორმებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა (შემდგომში „MCC“) -

შეერთებული შტატების სამთავრობო კორპორაცია, და საქართველოს მთავრობას (შემდგომში „**მთავრობა**“), წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს სახით (შემდგომში „**სამინისტრო**“) შორის. მთავრობა და MCC ერთბლივად მოხსენიებულია როგორც „**მხარეები**“ და ცალცალკე, როგორც „**მხარე**“.

შესავალი

ვინაიდან, MCC-ის დირექტორთა საბჭომ განსაზღვრა, რომ საქართველოს შუძლია ისარგებლოს MCC-ის დახმარებით, გამოთქვამენ სურვილს გააფორმონ ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმება (შემდგომში „**კომპაქტი**“), რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დაძლევის საქართველოში;

ვინაიდან, 2011 წლის დეკემბერში და 2012 წლის აპრილში მთავრობამ MCC-ს წარუდგინა კონცეფცია (შემდგომში „**კონცეფცია**“) რომლითაც სთავაზობს დახმარებას გარკვეულ საგანმანათლებლო პროექტებთან დაკავშირებით;

ვინაიდან, მხარეები შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ კომპაქტის განხორციელებას (შემდგომში „**მიზანი**“);

ვინაიდან, მხარეები გამოთქვამენ სურვილს განახორციელონ ქვემოთ აღწერილი ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყონ კომპაქტის განხორციელებას;

ვინაიდან MCC გამოთქვამს სურვილს, რომ მთავრობას მისცეს გრანტი ათასწლეულის გამოწვევის აქტის (შემდგომში „**აქტი**“) 2003 წლის ცვლილების, 609(გ)ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულისა და წინამდებარე შეთანხმებაში მითითებული ურთიერთშეთანხმებების გათვალისწინებით მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

MCC-ის გრანტი

ნაწილი 1.1 MCC-ის გრანტი. წინამდებარე შეთანხმების პირობების გათვალისწინებით MCC მთავრობას გრანტის სახით გამოუყოფს არაუმეტეს ორიმილიონ შვიდასიათას აშშ დოლარს (2,700,000 აშშ დოლარი) („**გრანტი**“), რათა დაფინანსდეს დანართ I-ში მოცემული ღონისძიებები (თითოეული „**ღონისძიება**“, ერთად „**ღონისძიებები**“).

მუხლი 2

მთავრობის წარმომადგენლობები, გარანტიები და შეთანხმებები

ნაწილი 2.1 მთავრობის წარმომადგენლობები და გარანტიები. მთავრობა MCC-ს აძლევს გარანტიას, რომ:

ა) უფლებამოსილება; ნებართვა. მთავრობას აქვს უფლებამოსილება და ნებართვა, რათა აღასრულოს, წარმოადგინოს და შეასრულოს წინამდებარე შეთანხმებით ან თითოეული სხვა შეთანხმებით, სერტიფიკატით, აქვე აღნიშნული ინსტრუმენტით, შესაბამისად, განსაზღვრული ვალდებულებები, და არც ერთი ასეთი ქმედება არ არღვევს ან არ დაარღვევს მთავრობის ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირის, შესაბამისად, სხვა ნებისმიერ ვალდებულებას.

ბ) წინააღმდეგობის არ არსებობა. წინამდებარე შეთანხმება არ მოდის და მომავალშიც არ მოვა წინააღმდეგობაში, რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, ვალდებულებებთან ან საქართველოს კანონმდებლობასთან.

გ) ინფორმაცია. MCC-თვის წარდგენილი ინფორმაცია მთავრობის მიერ ან მთავრობის სახელით მოქმედი უწყების მიერ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით არის მართალი, სწორი და სრულყოფილი ყველა ასპექტში.

ნაწილი 2.2 მთავრობის პასუხისმგებლობები და შეთანხმებები.

ა) ძირითადი პასუხისმგებლობები. მთავრობა პასუხისმგებელია მართოს და გაუწიოს ზედამხედველობა ღონისძიებების განხორციელებას.

ბ) უფლებამოსილი პირი. MCC-ის წერილობითი ნებართვის შემდეგ მთავრობას შეუძლია შეარჩიოს ერთი ან მეტი უწყება, რომელიც განახორციელებს და შეასრულებს მთავრობის ვალდებულებებს ან ვალდებულებების ნაწილს ან განახორციელებს მთავრობის ნებისმიერ უფლებას წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში (თითოეული უწყება „უფლებამოსილი პირი“) თუმცა ეს არ გაათავისუფლებს მთავრობას ვალდებულებებისაგან და უფლებებისაგან შეთანხმების ფარგლებში და მთავრობა შეინარჩუნებს სრულ პასუხისმგებლობას.

(i) მთავრობა ღონისძიებების განხორციელების შესასრულებლად წარადგენს სამინისტროს. მთავრობა ამით უდასტურებს MCC-ს, რომ მომსახურების მომწოდებელის კონტრაქტის განსახორციელებლად სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებები. MCC აღიარებს და თანახმაა რომ სამინისტრომ შეასრულოს ეს დანიშნულება, როგორც ეს ნახსენებია ნაწილი 2.2 (ბ) (i).

(ii) საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს დააფუძნოს ანგარიშვალდებული პირი, რომელიც განახორციელებს პროგრამებს კომპაქტის ფარგლებში და ასეთი პირი შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც "MCA-საქართველო". მთავრობა MCA-საქართველოს დაარსებისას მას გადასცემს უფლებამოსილებას იმოქმედოს მთავრობის სახელით და ყველა ღონეს იხმარს, რომ MCA-საქართველომ განახორციელოს მთავრობაზე დაკისრებული ვალდებულებები და დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა საჭირო და შესაბამისი ქმედება, რათა MCA-საქართველომ განახორციელოს მთავრობის ვალდებულებები ან უფლებები რომელიც დაკისრებული იყო სამინისტროზე ან სხვა უფლებამოსილ პირზე. MCC-ის მიერ მოწოდებულ ან MCC ვებ-გვერდზე განთავსებულ "ანგარიშვალდებული პირის სახელმძღვანელოში" ("MCC-ს მართვის სახელმძღვანელო") "ანგარიშვალდებულ პირად" მოიხსენიება MCA-საქართველო, და ყველა ვალდებულება დაკისრებული "ანგარიშვალდებულ პირზე" MCC-ს მართვის სახელმძღვანელოში იქნება MCA-საქართველოს ვალდებულება.

გ) სამართალდარღვევის არ არსებობა. საქართველოს მთავრობა ეთანხმება, რომ საქართველოს ნებისმიერი კანონის ან ნორმატიული აქტის მიერ წინამდებარე შეთანხმებით, ნებისმიერი მომსახურების მომწოდებლის კონტრაქტის ან ნებისმიერი სხვა დაკავშირებული შეთანხმებით, ან ნებისმიერი აქ განზრახულის შესრულებისათვის გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების

ხელის შეშლის შემთხვევაში, MCC-ს შეუძლია პირადი გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება 6.2 ნაწილის შესაბამისად.

დ) ყადაღა. მთავრობა იძლევა გარანტიას, რომ არც გრანტი, არც გრანტის ფარგლებში მიღებული აქტივები არ დაექვემდებარებიან ამოღებას, დაყადაღებას, ლიკვიდაციას, კონფისკაციას, განხილვას, სასამართლოს გზით შესრულებას, დაგირავებას (შემდგომში „ყადაღა“) MCC-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ყადაღის შემთხვევაში მთავრობა ყველა ღონეს იხმარს, რომ მიიღოს შესაბამისი ზომები ყადაღის მოსახსნელად და თუ ასეთი ყადაღა იმ სასამართლო გადაწყვეტილების შედეგია, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას, მთავრობა გადაიხდის ყადაღის მოსახსნელად საჭირო ნებისმიერ თანხას; მთავრობა უზრუნველყოფს, რომ არ იქნეს გამოყენებული MCC-გან მიღებული გრანტის ან სხვა თანხები (ან MCC-ის თანხებით შეძენილ აქტივები) ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად.

ე) დაზღვევა. შესრულების გარანტიები. მთავრობა გარანტიას მისცემს MCC-ს, რომ გრანტის თანხით შეძენილი ყველა აქტივი დაზღვეული იქნება და ასევე დააზღვევს ყველა რისკს და ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ღონისძიებების შესრულებასთან, ამასთან მოსთხოვს მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებს უზრუნველყონ შესაბამისი დაზღვევა, განათავსოს შესაბამისი შესრულების ვალდებულება ან სხვა გარანტიები. მთავრობა ან უფლებამოსილი პირი დასახელდება თანხის მიმღებად, ან ნებისმიერი ასეთი დაზღვევის და გარანტიის ან ვალდებულების მიმღებად თუ უკვე არ დასახელდა, როგორც დაზღვეული მხარე, შესაბამისი უფლებამოსილი პირი და MCC (მოთხოვნის შემთხვევაში) დასახელდებიან დამატებით მზღვეველებად. მთავრობა უზრუნველყოფს, რომ ამ დაზღვევის ან გარანტიის ფარგლებში გადახდილი ნებისმიერი საჩივრის თანხა გამოყენებულ იქნება გრანტით შეძენილი დაკარგული, მოპარული ან დაზიანებული აქტივის შესაცვლელად ან შესაკეთებლად; იმის გათვალისწინებით რომ MCC-ის არჩევანით, ასეთი სახსრები განთავსდება MCC-ის მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე ან MCC-ის მიერ სხვაგვარად განსაზღვრულზე.

ვ) ავტონომია. მთავრობა უზრუნველყოფს, რომ (i) ნებისმიერი უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება არ იქნეს მოდიფიცირებული, გაუმჯობესებული (არ იქნეს მასზე რამე დამატებული), უსამართლოდ გავლენის ქვეშ მოქცეული ან ანულირებული ნებისმიერი მთავრობის უფლებამოსილი პირის მიერ, გარდა ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებისა, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას ან თუ სხვაგვარად არ დამტკიცდა MCC-ს მიერ, და (ii) ნებისმიერი უფლებამოსილი პირის წარმომადგენელი არ იქნეს შეზღუდული ან სხვაგვარად შეცვლილი, თუ წინამდებარე შეთანხმებასთან ან კომპაქტთან დაკავშირებით არ ხდება აღნიშნული გადაწყვეტილების ან უფლებამოსილების გაფართოება, გარდა ამ შეთანხმების შესაბამისად ან როგორც MCC-ი დაამტკიცებს.

ზ) შემდგომი გარანტიები. მთავრობა დაუყოვნებლივ იმოქმედებს და მიიღებს საჭირო და შესაბამის ზომებს, რათა შეასრულოს ამ შეთანხმებით განსაზღვრული მთავრობის ვალდებულებები.

თ) კომპენსაცია. მთავრობა აუნაზღაურებს და დაიცავს MCC-ს და ნებისმიერ MCC-ს ოფიცერს, დირექტორს, თანამშრომელს, შვილობილს, კონტრაქტორს, აგენტს ან წარმომადგენელს (MCC-ს თოთოეული და ნებისმიერი ამგვარი პირი მითითებული როგორც „MCC-ს დაზღვეული მხარე“) ნებისმიერი ვალდებულებისგან ან სხვა ზარალისგან და გადაიხდის კომპენსაციას, უკან დაუბრუნებს და აუნაზღაურებს ზარალს ამგვარ MCC-ს დაზღვეულ მხარეს რომელიც (i) მიადგება (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ან წარმოექმნება ამგვარ MCC-ს დაზღვეულ მხარეს ან რომელსაც ნებისმიერი MCC-ს დაზღვეული მხარე შეიძლება დაექვემდებაროს, მიუხედავად იმისა, უკავშირდება თუ არა ამგვარი ზარალი ნებისმიერი მესამე პირის პრეტენზიას, და (ii) წარმოიქმნება მთავრობის, ნებისმიერი უფლებამოსილი პირის, ან ნებისმიერი ოფიცერის, თანამშრომლის, შვილობილის, კონტრაქტორის,

აგენტის ან მთავრობის წარმომადგენლის დაუდევრობის ან განზრახი ქმედების შედეგად და რომელიც (პირდაპირ ან არაპირდაპირ) კავშირშია ნებისმიერ ისეთ ღონისძიებასთან (მათ შორის, მოქმედებები და უმოქმედობები), რომლებიც ხორციელდება წინამდებარე შეთანხმების განხორციელების მიზნით; იმ პირობით რომ მთავრობა არ გამოიყენებს გრანტის სახსრებს ან MCC-სგან მიღებულ სხვა სახსრებს (ან MCC-ს მიერ მოწოდებული სახსრებით შეძენილს აქტივებს) ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად.

ო) ვალდებულებების წარმოდგენა. გრანტის სახსრები ან MCC-სგან მიღებული ნებისმიერი სხვა სახსრები (ან MCC-ის მიერ მოწოდებული სახსრებიდან შესყიდული აქტივები) არ იქნება გამოყენებული ნებისმიერი ზარალის ასანაზღაურებლად, მათ შორის შეზღუდვის გარეშე, მთავრობას, ან ნებისმიერ უფლებამოსილ პირს ერთის მხრივ და ნებისმიერ მომსახურების მომწოდებელს, ან სხვა მესამე მხარეს შორის გაფორმებული შეთანხმებით წარმოშობილი მთავრობის ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირის ნებისმიერი ვალის ან ზარალის კომპენსირებისათვის.

კ) მთავრობის სახსრები.

- (i) მთავრობა უზრუნველყოფს ყველა თანხისა და სხვა რესურსების მიწოდებას და გაატარებს ყველა ღონისძიებას, რომელიც საჭიროა წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მთავრობის პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების შესასრულებლად.
- (ii) მთავრობა გააკეთებს ყველაფერს რათა უზრუნველყოს რომ გრანტის სახსრები რომელიც მან მიიღო ან იგეგმება რომ მიიღოს მის თითოეულ ფისკალურ წელს სრულად არის ასახული მის წლიურ ბიუჯეტში მრავალწლიანობის საფუძველზე.
- (iii) თუ მთავრობა სხვაგვარად არ გააცხადებს თუ არა MCC-სათვის წერილობით, გრანტის სახსრები იქნება დამატებითი იმ ღონისძიებებისათვის, რასაც მთავრობა სხვაგვარად მიიღებს ან ბიუჯეტში გაითვალისწინებს.

ლ) თანხების გამოყენება.

(i) მთავრობა უზრუნველყოფს რომ გრანტი და გრანტიდან სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული ნებისმიერი აქტივი ან მომსახურება გამოყენებული იქნება მხოლოდ წინამდებარე შეთანხმების დახმარებისა და ღონისძიებებისათვის.

(ii) მთავრობა ასევე უზრუნველყოფს რომ გრანტის სახსრები არ იქნება გამოყენებული ისეთი ნებისმიერი მიზნისათვის, რომელიც დაარღვევს შეერთებული შტატების კანონს ან კურსს როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმებაში ან MCC შემდგომ წერილობით შეატყობინებს მთავრობას ან განათავსებს ვებ-გვერდზე www.mcc.gov („MCC-ს ვებ-გვერდი“), შემდეგი მიზნების ჩათვლით და არა მხოლოდ:

- (1) სამხედრო, პოლიციის, მილიციის, სახელმწიფო დაცვის ან გასამხედროებული ორგანიზაციის ან ერთეულის მხარდასაჭერად ან სწავლებისათვის;
- (2) ნებისმიერი აქტიურობისათვის რომელიც შეიძლება იყოს მიზეზი შეერთებული შტატების სამუშაო ადგილების დაკარგვის ან შეერთებული შტატების წარმოების მნიშვნელოვანი გადაადგილების;
- (3) განახორციელოს დაფინანსება ან სხვაგვარი მხარდაჭერა ნებისმიერი ღონისძიების, რომელიც შეიძლება იყოს საფრთხე გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების როგორც ეს შემდგომში აღწერილია MCC-ს მიერ მოწოდებულ ან MCC-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ MCC-ს გარემოსდაცვის დირექტივებში („MCC-ს გარემოსდაცვის დირექტივები“); ან

(4) აბორტის, როგორც ოჯახის დაგეგმვის მეთოდის დაფინანსება, ან მოტივირება ან ნებისმიერი პირის იძულება გაიკეთოს აბორტი, იძულებითი სტერილიზაციის, როგორც ოჯახის დაგეგმვის მეთოდის დაფინანსება, ნებისმიერი პირის ფინანსური სტიმულირება გაიკეთოს სტერილიზაცია ან ბიოსამედიცინო კვლევების დაფინანსება, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ ეფუძვნება აბორტის ან იძულებით სტერილიზაციის, როგორც ოჯახის დაგეგმვის მეთოდს.

მ) გადასახადები.

(i) თუ მხარეები სხვაგვარად წერილობით არ შეთანხმდებიან, მთავრობა უზრუნველყოფს, რომ გრანტის სახსრები გათავისუფლებული იქნება საქართველოში ნებისმიერი არსებული ან მომავალში დაწესებული გადასახადების, მოსაკრებლების, გადასახდელების და სხვა მსგავსი ხარჯების გადახდებისაგან (მაგრამ არა მოსაკრებლებისაგან ან ხარჯებისაგან იმ მომსახურებისათვის, რაც საქართველოში ზოგადად მიღებულია და გადაიხდება არა-დისკრიმინაციულ საფუძველზე), საშემოსავლო გადასახადის, მოგების გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადის („**დღგ**“), საბაჟო მოსაკრებლის, ქონების გადასახადის და აქციზის („**გადასახადები**“) ჩათვლით გამონაკლისის გარეშე (საქართველოში დაწესებული ნებისმიერი ისეთი გადასახადის ჩათვლით, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო, რეგიონული, ადგილობრივი და სხვა სამთავრობო ან საგადასახადო უფლებამოსილი პირის/ორგანიზაციის მიერ).

(ii) ზემოაღნიშნულის შეუზღუდავად, მთავრობა თანხმდება დაუყოვნებლივ გადაიხადოს ნებისმიერი და ყველა გადასახადი, რომელიც დაწესებულია ან კავშირშია (1) გრანტის სახსრებთან, (2) ღონისძიებებთან, (3) MCA-საქართველოსთან და (4) ნებისმიერ ტრანზაქციასთან, საქართველოში განხორციელებულ საქონელთან, სამუშაოსთან ან მომსახურებასთან ან ღონისძიებებთან დაკავშირებით, გარდა გადასახადები დაკავშირებული (ა) ფიზიკურ პირებთან, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები ან მუდმივი რეზიდენტები; და (ბ) საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან (გარდა MCA-საქართველო და მთავრობის ვალდებულებების შესრულების მიზნით შექმნილი სხვა ერთეული).

(iii) მთავრობის ვალდებულებები 2.2(მ)(ii) ნაწილის შესაბამისად გადასახდელ გადასახადებთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს მეორე დანართში გაწერილი პროცედურების მიხედვით.

(iv) თუ გადასახადი გადახდილი იქნება მიუხედავად 2.2 (მ) ნაწილში, მეორე დანართში ან 2.2(მ) ნაწილის შესაბამისად გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებაში აღნიშნული მოთხოვნებისა ან შეთანხმებებისა, მთავრობა MCC-ს აუნაზღაურებს ან უკან დაუბრუნებს ასეთი გადასახადის თანხას აშშ დოლარში ან საქართველოს ვალუტაში, 30 დღის განმავლობაში (ან სხვა პერიოდში რომელიც წერილობით შეიძლება შეთანხმდეს მხარეების მიერ) მას შემდეგ რაც მთავრობას წერილობით ეცნობება (ან MCC-ს ან უფლებამოსილი პირის მიერ) გადასახდელი გადასახადის შესახებ.

(v) გრანტის სახსრები ან MCC-სგან მიღებული ნებისმიერი სხვა სახსრები (ან MCC-ის მიერ მოწოდებული სახსრებიდან შესყიდული აქტივები) არ იქნება გამოყენებული 2.2 (მ) ნაწილის შესაბამისად წარმოქმნილი მთავრობის ვალდებულებების შესასრულებლად.

- (vi) მთავრობის ვალდებულებები 2.2 (მ) ნაწილით განსაზღვრული გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით არ გავრცელდება თუ ძალაშია გადასახადებისაგან გათავისუფლება კომპაქტის შესაბამისად.

მუხლი 3. თანხის ჩამორიცხვა

ნაწილი 3.1 თანხის ჩამორიცხვის მეთოდი.

(ა) ჩამორიცხვის მოთხოვნა. მთავრობას შეუძლია მოითხოვოს გრანტის თანხის ჩამორიცხვა (თითოეული, „**ჩამორიცხვა**“) ღონისძიებებისთვის MCC-სთვის წერილობითი ფორმით მოთხოვნის მიწოდებით, MCC-ს მიერ წარმოდგენილი ან MCC-ს ვებ გვერდზე განთავსებული „ჩამორიცხვის მოთხოვნის“ ფორმით (თითოეული, „**ჩამორიცხვის მოთხოვნა**“) სათანადოდ შევსებული, არა უგვიანეს 20 დღით (ან სხვა პერიოდის განმავლობაში, როგორც შეიძლება შეთანხმებულ იქნეს MCC-სთან) ადრე თითოეული ჩამორიცხვის ვადამდე. თუკი სხვაგვარად არ არის შეთანხმებული MCC-ს მიერ, მთავრობას შეუძლია წარუდგინოს კვარტალში მხოლოდ ერთი ჩამორიცხვის მოთხოვნა (კვარტალი, ან სხვა ნებისმიერი დროის პერიოდი როგორც ეს იქნება შეთანხმებული MCC-ს მიერ, „**ჩამორიცხვის პერიოდი**“).

(ბ) ჩამორიცხვის მოთხოვნის დამტკიცება; თანხების გამოყოფა.

(i) ჩამორიცხვის მოთხოვნის მიღების შემდეგ, MCC განსაზღვრავს ჩამორიცხვის პერიოდისთვის ჩამორიცხვის შესაბამის ოდენობას შემდეგის გათვალისწინებით, (1) 609(გ)-ს განხორციელების გეგმის მიხედვით მიღწეული პროგრესი, (2) ჩამორიცხვის მოთხოვნაში მითითებული თანხის ოდენობა, რომელიც საჭიროა ღონისძიებებისთვის ჩამორიცხვის პერიოდის განმავლობაში, და (3) მოთხოვნილი ჩამორიცხვის ჩამოსარიცხად საჭირო პირობების დაკმაყოფილება, უარის თქმა ან გადავადება.

(ii) MCC-ს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია უარი თქვას ნებისმიერ ჩამორიცხვის მოთხოვნაზე, ან უარი თქვას ან შეამციროს მოთხოვნილი ჩამორიცხვა შემდეგის გათვალისწინებით, (1) 609(გ)-ს განხორციელების გეგმაში გაკეთებული ნებისმიერი სახის ცვლილების საფუძველზე, (2) თუ არ მოხდა მოთხოვნილი ჩამორიცხვის ჩამორიცხვისათვის საჭირო პირობების დაკმაყოფილება, უარის თქმა ან გადავადება.

(iii) MCC-ს მიერ გადახდის მოთხოვნის დამტკიცების შემთხვევაში, ჩამორიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს MCC-ს გადაწყვეტილებით, (1) გამოყოფილ ანგარიშზე, (2) პირდაპირ მომსახურების მომწოდებელთან, როგორც საქონლის, გაწეული შრომის ან მომსახურების გადასახადი MCC-სთვის მისაღებ საერთო გადახდის სისტემით ან სხვა ალტერნატიული სისტემით, რომელიც მისაღებია MCC-სთვის, ან (3) უშუალოდ MCA-საქართველოს თანამშრომელზე. მთავრობის მომსახურების მომწოდებლისთვის გადახდები და სხვა ხარჯები ჩამორიცხვის პერიოდისთვის (მათ შორის, მომწოდებელთან ან ანგარიშვალდებული ერთეულის თანამშრომელთან ჩარიცხული თანხები) განხორციელდება მთავრობის ნებართვით და ფისკალური აგენტის დასტურით, ან სხვაგვარად, როგორც შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის დამტკიცებული 609(გ) დეტალური ფინანსური გეგმის შესაბამისად და

სტანდარტების და პროცედურების თანახმად რომლებიც გათვალისწინებულია ფისკალური ანგარიშგების გეგმაში, ან MCC-ს მიერ დამტკიცებულ სხვა ნებისმიერ შუალედურ ფისკალური ანგარიშგების გეგმაში.

(iv) გარდა იმ შემთხვევებისა თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული MCC-სთან, ნებისმიერი გადახდა ან ფინანსური ვალდებულება გრანტის დაფინანსების ჩათვლით შესაძლებელია განხორციელდეს, და მოხდეს ჩამორიცხვის მოთხოვნის წარდგენა, იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებულია 609(გ) დეტალური ფინანსურ გეგმაში და შესაბამისი თანხები გათვალისწინებულია 609(გ) დეტალურ ფინანსური გეგმაში შესაბამისი ჩამორიცხვის პერიოდისთვის.

(გ) ნებადართული ანგარიშები.

(i) მთავრობა უზრუნველყოფს, რომ უფლებამოსილი წარმომადგენელი გახსნის: (1) საბანკო ანგარიშს ქართულ ლარში („ადგილობრივი ანგარიში“) და (2) ასეთ სხვა ანგარიშებს, MCC-სთვის მისაღებ ფინანსურ დაწესებულებაში (როგორც არის ადგილობრივი ანგარიში, და სხვა ასეთი ანგარიში „ნებადართული ანგარიში“). სანამ ნებისმიერი გრანტის სახსრები განთავსდება ნებადართულ ანგარიშზე, მთავრობა უზრუნველყოფს რომ შესაბამისმა ნებადართულმა პირმა გააფორმოს ბანკთან შეთანხმება MCC-ისთვის მისაღები ფორმით და შინაარსით, ფინანსურ დაწესებულებასთან, რომელიც მისაღებია MCC-ისთვის ნებადართული ანგარიშის გასახსნელად („ბანკი“), რომელიც განსაზღვრავს ხელმომწერს, უფლებებს, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და ანტიტერორისტული დაფინანსების დებულებებს და ნებადართულ ანგარიშთან („საბანკო შეთანხმება“) დაკავშირებულ სხვა პირობებს. ნებადართული ანგარიშის პირობები და ოპერაციები განსაზღვრული იქნება ფისკალური ანგარიშგების გეგმით და საბანკო შეთანხმებით.

(ii) თუ სხვაგვარად არ არის ნებადართული MCC-ის მიერ, სხვა არანაირი თანხა არ იქნება ჩარიცხული ნებადართულ ანგარიშზე გარდა გრანტის თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტისა. MCC უფლებას იტოვებს, სხვა საკითხებთან ერთად, ნახოს ნებისმიერი ნებადართული ანგარიშის ამონაწერი და აქტივობა პირდაპირ ინტერნეტის მეშვეობით, და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ იქნება შესაძლებელი, MCC-ის მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობა MCC-ს მიაწვდის აღნიშნულ ამონაწერებს.

(iii) მთავრობა უზრუნველყოფს, რომ ნებადართულ ანგარიშზე განთავსებულ საგრანტო თანხას დაერიცხოს პროცენტი ან საბანკო შეთანხმების თანახმად სხვა სარგებელი. კვარტალურად და შეთანხმების ან შესაბამისი საბანკო შეთანხმების შეჩერების ან ვადის გასვლის შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს ნებადართულ ანგარიშზე არსებულ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადარიცხვას MCC-ისთვის.

(iv) მთავრობა MCC-ს და ფისკალურ აგენტს მიაწვდის ანგარიშის დასახელებას, ანგარიშის ნომერს და საბანკო რეკვიზიტებს ნებადართულ ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად („ანგარიში და საბანკო რეკვიზიტები“) ნებადართულ ანგარიშზე ინიცირებული ჩარიცხვის დღეზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე. იმ შემთხვევაში თუ ნებადართული ანგარიში ან მასთან დაკავშირებული ანგარიში და საბანკო რეკვიზიტების ინფორმაცია იცვლება ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, მთავრობა MCC-ს და ფისკალურ აგენტს მიაწვდის ახალ ინფორმაციას როგორც კი გახდება შესაძლებელი, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღით ადრე მოთხოვნილ შემდეგი ჩარიცხვის დღემდე.

ნაწილი 3.2 თავდაპირველი ჩამორიცხვის პირობები. MCC-ის მიერ თავდაპირველი ჩამორიცხვის მოთხოვნის დამტკიცებისათვის დაკმაყოფილებული უნდა იყოს MCC-ს თითოეული შემდეგი პირობა (გარდა იმ პირობებისა რომლებსაც MCC პირადი შეხედულებით გააუქმებს ან გადადებს):

(ა) გადასახადების გადასახდელად მთავრობის სახსრების არსებობის დადასტურება. მთავრობის მიერ MCC-სათვის დადასტურების მიწოდება სახელმწიფო ხაზინაში MCA-საქართველოს ან სხვა უფლებამოსილი პირის სახელზე ცალკე ანგარიშის (*“MCA-საქართველოს ხაზინის ანგარიში”*) 2012 კალენდარული წლის ღონისძიებებისათვის ყველა გადასახადის დასაფარად საჭირო შესაბამისი სახსრებით არსებობის შესახებ.

(ბ) მთავრობის მიერ MCC-სათვის მიწოდებულ უნდა იქნას მთავრობის დადგენილება მთავრობის თანხმობის შესახებ მთავრობის მიერ MCC-ს წინამდებარე შეთანხმების 4.2 ნაწილის შესაბამისად MCC-ის პროგრამის შესყიდვების დირექტივების გამოყენების თაობაზე;

(გ) მთავრობის მიერ MCC-სათვის მიწოდებულ უნდა იქნას მთავრობის დადგენილება MCA-საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედების უფლებამოსილების შესახებ; და

(ბ) 3.3 (ა)-(დ) ნაწილებში დადგენილი თითოეული პირობის დაკმაყოფილება.

ნაწილი 3.3 თითოეული ჩამორიცხვის პირობები. MCC-ის მიერ თითოეული ჩამორიცხვის მოთხოვნის დამტკიცებისათვის დაკმაყოფილებული უნდა იყოს MCC-ს თითოეული შემდეგი პირობა (გარდა იმ პირობებისა რომლებსაც პირადი შეხედულებით გააუქმებს ან გადაადებს MCC):

(ა) შევსებული ჩამორიცხვის მოთხოვნის მიწოდება წინამდებარე შეთანხმების 5.1 ნაწილში აღნიშნული პერიოდული ანგარიშით, ყოველ ჯერზე MCC-სათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით და შესაბამის ჩამორიცხვის პერიოდის დაფარვით;

(ბ) გრანტის ნებისმიერ სახსრიდან ნებადართულ ანგარიშზე ჩარიცხვამდე, წარადგინოს: (i) დადასტურება ადგილობრივი ანგარიშის და მხარეების მიერ შეთანხმებული ნებისმიერი სხვა ნებადართული ანგარიშის გახსნის და (ii) თითოეული ბანკის შეთანხმების სწორი და შევსებული ასლი, რომელიც არის შესაბამისად შესრულებული და ჩარიცხვის მოთხოვნის დღისთვის ძალაში მყოფი და ეფექტური;

(გ) ნაწილი 2.1-ში აღნიშნულ თითოეული მთავრობის წარმომადგენლობები და გრანტიები მართალია და სწორი თითოეული ჩამორიცხვის მოთხოვნის წარდგენის დღისთვის და განხორციელებისას.

(დ) ნებისმიერი პასუხისმგებლობა, პირობა ან ვალდებულება წინამდებარე შეთანხმებიდან ან ნებისმიერ სხვა დაკავშირებული შეთანხმებიდან (ბანკის შეთანხმების, ფისკალური აგენტის შეთანხმების და ნებისმიერი მომსახურების მომწოდებლის კონტრაქტის ჩათვლით), მთავრობის მიერ ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირის მიერ არ დარღვეულა და არ გრძელდება ჩამორიცხვის მოთხოვნის დღისთვის.

(ე) MCC-ს მოთხოვნის შემთხვევაში, დადასტურების წარდგენა მთავრობისგან, უფლებამოსილი პირებისგან და/ან ფისკალური აგენტისგან, თითოეულ შემთხვევაში MCC-სათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით.

მუხლი 4.

განხორციელების სტრუქტურა

ნაწილი 4.1 609(გ)-ს განხორციელების გეგმა. თითოეული ღონისძიების განხორციელების სტრუქტურა იქნება დამუშავებული დოკუმენტებში, MCC-ს მიერ დამტკიცებული ფორმითა და შინაარსით, რომელიც შეიცავს (i) 609(გ)-ის დეტალურ ფინანსურ გეგმას, (ii) ერთი ან მეტი 609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმებს და (iii) ერთი ან მეტი მომწოდებლის კონტრაქტებს (თითოეული *“609(გ)-ის განხორციელების გეგმის დოკუმენტი”* და ერთობლივად *“609(გ)-ის განხორციელების გეგმა”*). MCC-ს

შეუძლია განიხილოს 609(გ)-ს განხორციელების გეგმა ან მისი ნებისმიერ ნაწილი და თუ საჭიროა მოითხოვოს მთავრობისაგან განმარტებების წარდგენა და შესწორებები.

(ა) 609(გ)-ის დეტალური ფინანსური გეგმა. მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი, შესაბამისად, განავითარებს, მიიღებს და განახორციელებს დეტალური ფინანსურ გეგმას MCC-ს შეტყობინებული დირექტივების, თითოეული ღონისძიების (ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით) დაფინანსების მოთხოვნების მიხედვით, ჩაშლილი ქვე-ღონისძიებების დონეზე (ან სადაც შესაძლებელია უფრო დაბალ დონეზე) და დაგეგმილი ორივე, მობილიზების და ნაღდი ფულის მოთხოვნის საფუძველზე (დროდადრო დამტკიცებული ან სხვაგვარად მოდიფიცირებული “**609(გ)-ს დეტალური ფინანსური გეგმა**”).

(ბ) 609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმა. მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი, შესაბამისად, განავითარებს ნებისმიერ განხორციელების გეგმას თითოეული ღონისძიების შესყიდვისათვის (თითოეული “**609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმა**”) და წარუდგენს ასეთი 609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმას MCC -ს დასამტკიცებლად შესაბამისი შესყიდვის განხორციელებამდე. თითოეული 609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმა უნდა ასახავდეს სხვებთან ერთად საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესყიდვის მეთოდს. მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს რომ ყველა საქონელი, სამუშაო ან მომსახურება შესყიდული იქნება 609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმით დამტკიცებული შესყიდვების მეთოდის გამოყენებით და შეესაბამება 609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმის შესყიდვების მეთოდს.

(გ) მომსახურების მომწოდებლის კონტრაქტები.

მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი, შესაბამისად, შეისყიდის ან მართავს ერთი ან მეტი მომსახურების მომწოდებლებს თითოეული ღონისძიების (თითოეული “**მომსახურების მომწოდებელი**”). მთავრობა ან მისი ნებართული პირი შესაბამისად, გააფორმებს ერთ ან მეტ კონტრაქტს MCC-სათვის მისაღები ფორმით მომსახურების მომწოდებლებთან ღონისძიებების განხორციელების მიზნით (“**მომსახურების მომწოდებლების კონტრაქტები**”).

ნაწილი 4.2 MCC-ს პროგრამის შესყიდვების დირექტივები. მთავრობა ან მისი ნაბადართული პირი, შესაბამისად, ეყრდნობა MCC-ს მიერ მოწოდებულ ან MCC-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ “პროგრამის შესყიდვის დირექტივებს” (“**MCC-ს პროგრამის შესყიდვების დირექტივები**”) საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების (მოთხოვნის ჩათვლით) შესყიდვისას და მინიჭებისა და ადმინისტრირებისას თითოეულ ღონისძიებების კონტრაქტების; წარმოდგენილი MCC-ს პროგრამის შესყიდვების დირექტივების ღირებულებები შესყიდვების გეგმასთან დაკავშირებით და ზოგადი შესყიდვების შეტყობინება არ ვრცელდება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ შესყიდვებზე.

ნაწილი 4.3 ფისკალური ანგარიშგება.

(ა) ფისკალური აგენტი. თუ MCC სხვაგვარად არ შეთანხმდება, წინამდებარე შეთანხმებაში ნებისმიერი მიმართვა “**ფისკალურ აგენტზე**” მიჩნეული უნდა იყოს როგორც (i) MCC-ს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი დორებითი მომსახურების მომწოდებელი ფისკალური აგენტის მომსახურების მოწოდებისათვის სანამ მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი მიაწოდებს MCC-ს სწორ და შესებულ ასლს ფისკალური აგენტის ხელშეკრულების MCC-სათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით (“**ფისკალური აგენტის ხელშეკრულება**”) და ამის შემდგომ ფისკალური აგენტად დასახელებული ან (ii) ფისკალური აგენტის ხელშეკრულებაში დასახელებული მომსახურების მომწოდებელი. თუ MCC სხვაგვარად არ განსაზღვრავს ფისკალური აგენტი სხვა საკითხებთან ერთად

პასუხისმგებელი იქნება (1) უზრუნველყოს და დაადასტუროს რომ ჩამორისხვები ფისკალური აგენტის ხელშეკრულებაში და საბანკო ხელშეკრულებაში გაწერილი პროცედურების შესაბამისად არის სწორად გაფორმებული და დოკუმენტურად შედგენილი. (2) მისცეს ბანკს დავალება განახორციელოს გადარიცხვები ნებადართული ანგარიშიდან ან მოითხოვოს გადარიცხვა პირდაპირ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მომწოდებელზე ასანაზღაურებლად MCC-ს საერთო გადახდის სისტემის ან MCC-ს მიერ დამტკიცებულ ნებისმიერ ალტერნატიულ გადახდის სისტემის შესაბამისად, რომელი შემთხვევაში შეიძლება იყოს, ყოველი შემთხვევისათვის ფისკალური აგენტის მიერ შემდგომი სერტიფიცირება, (3) წარადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი ცამორიცხვის მოთხოვნისათვის, (4) აწარმოოს სათანადა ანგარიშგება ყველა ფინანსურ ტრანზაქციებთან დაკავშირებით რომელიც გრანტის სახსრებს მოიცავს და (5) აწარმოოს ანგარიშები ჩამორიცხვებზე ფისკალური აღრიცხვიანობის გეგმაში გაწერილი პროცედურების შესაბამისად ან MCC-ს მიერ დამტკიცებულ ნებისმიერი წინასწარი პროცედურების შესაბამისად ფისკალური ანგარიშგების გეგმის დამტკიცებამდე.

(ბ) ფისკალური ანგარიშგების გეგმა. ფისკალური აგენტის ხელშეკრულების შესაბამისად, მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი, შესაბამისად, განავითარებს, მიიღებს და განახორციელებს MCC -სათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით სახელმძღვანელოს, რომელიც ასახავს პრონციპებს, მექანიზმს და პროცედურებს („ფისკალური ანგარიშგების გეგმა“) რათა გამოყენებული იქნეს გრანტის სახსრების შესაბამისი ფისკალური ანგარიშგების პროცესის ჩათვლით უზრუნველყოფისათვის ღია, პატიოსანი და კომპეტენტური პროცედურების უზრუნველყოფის ჩათვლით, რათა იქნეს გრანტის ადმინისტრირების გამჭვირველობა გაერთიანებული ხელშეკრულების და საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვისას. ფისკალური ანგარიშგების გეგმა ასევე უნდა შეიცავდეს სხვა საგნებთან ერთად, მოთხოვნებს შემდეგთან დაკავშირებით: (i) ბიუჯეტირებასთან, (ii) აღრიცხვიანობასთან; (iii) ნაღდი ფულის მართვასთან; (iv) ფინანსურ ტრანზაქციებთან (მიღებებთან და გადახდებთან); (v) ნებადართული ანგარიშების გახსნასა და მართვასთან; (vi) პერსონალთან და პერსონალისათვის გადასახდელებთან; (vii) მზავრობასა და ტრანსპორტირების გამოყენებასთან; (viii) აქტივებს და ინვენტარის კონტროლს; (ix) აუდიტი და (x) ანგარიშგება.

მუხლი 5. ანგარიშები; ჩანაწერები და აუდიტი

ნაწილი 5.1 ანგარიშები.

(ა) თუ MCC-ს მიერ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი, შესაბამისად, წარუდგენს MCC-ს პერიოდულ ანგარიშებს როგორც ეს საჭიროა MCC-ს მიერ მიწოდებული ან MCC-ს ვებ-გვერდზე განთავსებული „MCC-ს დირექტივები MCA-ს კვარტალური ჩამორიცხვის მოთხოვნის და ანგარიშგების პაკეტი“-ს („MCC-ს ანგარიშების დირექტივები“) შესაბამისად ყოველ ჯერზე დროულად და MCC-სთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით.

(ბ) ნაწილი 5.1 (ა)-ის მიხედვით მოთხოვნილ ანგარიშებზე დამატებით, მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი, შესაბამისად, MCC-ს წერილობით წარუდგენს MCC-ს მიერ მოთხოვნიდან 30 დღეში, ან თუ მთავრობა ან მისი უფლებამოსილი პირი და MCC სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ამგვარ სხვა ანგარიშებს ან დოკუმენტებს რომელიც შეიძლება დროდადრო მოითხოვოს 609(გ)-ს განხორციელების გეგმის, ფისკალური აღრიცხვიანობის გეგმის ან ნებისმიერ ღონისძიების ან ჩამორიცხვის ნებისმიერ კომპონენტთან დაკავშირებით.

ნაწილი 5.2 მომწოდებლები. თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმდებიან (ა) „მომწოდებელი“ არის (i) მთავრობის ერთეული რომელიც წინამდებარე შეთანხმების ღონისძიებების განახორციელებლად იღებს ან გამოიყენებს გრანტის სახსრებს ან გრანტის სახსრებით შეძენილ

ნებისმიერ სხვა აქტივებს ან (ii) ნებისმიერი მესამე მხარე, რომელიც წინამდებარე შეთანხმების მოქმედების პერიოდში გრანტის სახსრებიდან იღებს სულ მცირე 50,000 აშშ დოლარს (გარდა ხელფასი ან კომპენსაცია როგორც მთავრობის ერთეულის თანამშრომელი); და (ბ) **“გათვალისწინებული მომწოდებელი”** არის (ა) არა-შეერთებული შტატების მომწოდებელი, რომელიც MCC-ს დაფინანსებიდან ირებს (MCC-სთან პიდაპირი ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გაფორმებულის გარდა) 300,000 აშშ დოლარს ან მეტს MCA-საქართველოს ნებისმიერ ფისკალურ წელს ან ნებისმიერ სხვა არა-შეერთებული შტატების პირი ან ორგანიზაცია, რომელიც MCC -ს დაფინანსებიდან იღებს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, 300,000 აშშ დოლარს ნებისმიერი მომწოდებლისაგან ასეთი სხვა მხარის ფისკალურ წელს ან (ბ) ნებისმიერი შეერთებული შტატების მომწოდებელი, რომელიც MCC-ს დაფინანსებიდან ირებს (MCC-სთან პიდაპირი ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გაფორმებულის გარდა) 500,000 აშშ დოლარს ან მეტს MCA-საქართველოს ნებისმიერ ფისკალურ წელს ან ნებისმიერი შეერთებული შტატების პირი ან ორგანიზაცია რომელიც MCC-ს დაფინანსებიდან იღებს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, 500,000 აშშ დოლარს ნებისმიერ მომწოდებლისაგან ნებისმიერ ასეთ ფისკალურ წელს.

ნაწილი 5.3 მთავრობის საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები. მთავრობა აწარმოებს და ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ ნებისმიერ უფლებამოსილი პირი და გათვალისწინებული მომწოდებლები აწარმოებს საბუღალტრო წიგნებს, ჩანაწერებს, დოკუმენტებს და წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებულ სხვა მტკიცებულებებს, რომლებიც ადეკვატურად MCC-სთვის დამაკმაყოფილებლად ასახავს MCC-ს დაფინანსების გამოყენებას (ერთობლივად **„ჩანაწერები“**). ჩანაწერები უნდა ინახებოდეს წინამდებარე შეთანხმების ვადის გასვლიდან სულ მცირე 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ან ისეთი უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რომელიც საჭიროა ნებისმიერ სასამართლო პროცესის, საჩივრის ან აუდიტის მიერ გამოვლენილი შედეგების ან მებისმიერი კანონისმიერი მოთხოვნების მოსაგვარებლად. MCC-ს მოთხოვნისას მთავრობა წარუდგენს ან უზრუნველყოფს რომ წარედგინოს ასეთი ჩანაწერები MCC-ს.

ნაწილი 5.4 აღრიცხვა. მთავრობა აწარმოებს და ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ ნებისმიერი უფლებამოსილი პირი და გათვალისწინებული მომწოდებლები აწარმოებს ჩანაწერებს ამერიკის შეერთებული შტატები საყოველთაოდ აღიარებული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად, ან მთავრობის არჩევით MCC-ის წინასწარი წერილობითი თანხმობით სხვა აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად, როგორცაა იმ (ა)ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დადგენილი ან (ბ) საქართველოში არსებული.

ნაწილი 5.5 ხელმისაწვდომობა. აუდიტი. MCC-ს თხოვნის შემთხვევაში მთავრობამ, ნებისმიერ გონივრულ დროში უნდა დაუშვას, ან უზრუნველყოს დაშვება MCC-ს უფლებამოსილი წარმომადგენლები, MCC-ს გენერალური ინსპექტორი (**„გენერალური ინსპექტორი“**), შეერთებული შტატების მთავრობის ანგარიშგების ოფისი, ნებისმიერი აუდიტორი, რომელიც პასუხისმგებელია წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში აუდიტზე ან წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად სხვაგვარად წარმართონ აუდიტზე და ნება მისცეს MCC-ს ან ნდობით აღჭურვილი პირის მიერ დაქირავებულ ნებისმიერ აგენტს ან წარმომადგენელს აწარმოოს პროგრამის ნებისმიერი შეფასება ან შემოწმება ნებისმიერ დროს, შესაძლებლობა მისცეს შეამოწმოს ან შეაფასოს MCC-ის მიერ სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული საქმიანობები, შესყიდული საქონელი ან მომსახურებები და ჩანაწერები. მთავრობა ან შესაბამისი უფლებამოსილი პირი მომწოდებელთან გაფორმებულ კონტრაქტში ჩადებს დებულებას აღნიშნული აუდიტის, მიმოხილვის შეფასების, ანალიზის ან ინსპექტირების შესახებ. ნებისმიერი ჩატარებული აუდიტი წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებით ან ნებისმიერი განზრახული ტრანზაქცია უნდა მომზადდეს MCC-ს მიერ მოწოდებული ან MCC-ს ვებ-გვერდზე განთავსებული „ფინანსური აუდიტის დირექტივების“ (**„MCC-ს აუდიტის დირექტივები“**) შესაბამისად.

მუხლი 6.

გრანტის მოქმედების ვადა; გრანტის შეწყვეტა და შეჩერება

ნაწილი 6.1 გრანტის მოქმედების ვადა. თუ მხარეების მიერ წერილობითი სხვაგვარად არ შეთანხმდება, მიუხედავად იმისა გრანტის სახსრები სრულად იქნა ჩამორიცხული ან დახარჯული, წინამდებარე შეთანხმება შეწყდება აქედან ადრე დამდგარი შემთხვევის დროს (ა) იმ დღეს, როცა წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ყველა საქმიანობა სრულად შესრულდა და განხორციელდა საბოლოო გადახდა აღნიშნულისათვის, (ბ) იმ დღეს, როცა მხარეთა მიერ შეწყვეტილი იქნება წინამდებარე შეთანხმების 6.2 ნაწილის შესაბამისად, (გ) წინამდებარე შეთანხმების 5 წლის შემდეგ, ან (დ) კომპაქტის შეწყვეტის დღეს.

ნაწილი 6.2 შეწყვეტა და შეჩერება.

(ა) ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება მთლიანად მეორე მხარისათვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე; მთავრობას არ შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება იმ ღონისძიებებთან მიმართებაში რისთვისაც ჩამორიცხვა უკვე განხორციელებულია ან დამტკიცებულია MCC-ს მიერ ან შესაბამისი მომსახურების მომწოდებლის კონტრაქტისათვის საჭიროა 30 დღეზე მეტი, ამ შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმება შეიძლება შეწყდეს მთავრობის მიერ მომსახურების მომწოდებლის კონტრაქტის ასეთი ვადის გასვლის შემდეგ.

(ბ) MCC-ს შეუძლია მთავრობისათვის დაუყოვნებლივ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება ან გრანტი სრულად ან ნაწილობრივ, და მასთან დაკავშირებული ნებისმიერ ვალდებულება, თუ MCC განსაზღვრავს რომ MCC-ს მიერ განსაზღვრული ვითარება არის საფუძველი შეჩერების ან შეწყვეტის (მთავრობისათვის მიწერილი ან MCC-ს ვებ-გვერდზე განთავსებით), რაც მოიცავს შემდეგ გარემოებებს მაგრამ არ შემოიფარგლება:

(i) მთავრობა ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს წინამდებარე შეთანხმებიდან ან სხვა შეთანხმებიდან ან წინამდებარე შეთანხმებიდან ან ღონისძიებებიდან გამომდინარე მთავრობის მიერ გაფორმებული შეთანხმებიდან;

(ii) მოხდა შემთხვევა ან მთელი რიგი შემთხვევისა რაზეც MCC გადაწყვეტს რომ საეჭვოა ღონისძიებების განხორციელება, წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე მთავრობის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შერულება ან კომპაქტის ძალაში შესვლა;

(iii) გრანტის გამოყენება ან შემდგომი განხორციელება არღვევს არსებულ კანონმდებლობას ან არ შეესაბამება ამჟამად მოქმედ ან მომავალში ამოქმედებულ აშშ-ს მთავრობის პოლიტიკას;

(v) მთავრობა ან ნებისმიერი პიროვნება და ერთეული, რომელიც იღებს გრანტის დაფინანსებას ან იყენებს გრანტის დაფინანსებასთან სრულად ან ნაწილობრივად დაკავშირებულ აქტივებს, მონაწილეობს საქმიანობებში, რომელიც ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს;

(vi) განხორციელდა ქმედება ან დაუდევრობა ან ადგილი ქონდა ისეთ მოვლენას, რის გამოც საქართველო მიჩნეული იქნა ისეთ ქვეყნად, რომელმაც არ უნდა მიიღოს შეერთებული შტატების ეკონომიკური დახმარება 1961 წლის

უცხოური დახმარების შესახებ შესწორებული კანონის I ნაწილის შესაბამისად, (22 U.S.C 2151 et seq.) უცხოური დახმარების კანონის ნებისმიერი დებულებისა და კანონის ნებისმიერი სხვა დებულების საფუძველზე;

(vii) პიროვნება ან ერთეული რომელიც იღებს გრანტის სახსრებს ან იყენებს გრანტის სახსრებით სრულად ან ნაწილობრივად შეძენილ აქტივებს აღმოჩნდება რომ დამნაშავეა ნარკოტიკებთან ან ნარკოტრაფიკთან დაკავშირებით.

(გ) ყველა ჩამორიცხვა შეწყდება წინამდებარე შეთანხმების ვადის გასვლის, შეჩერების ან შეწყვეტისას; იმ პირობით, რომ საგრანტო სახსრების გამოყენება შეიძლება ამ შეთანხმების მოთხოვნის შესაბამისად, შემდეგის გადასახდელად (i) იმ საქონლის, მომსახურების და სამუშაოს დასაბუთებული დანახარჯების, რომლებიც წარმოიქმნა წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე შეთანხმების ვადის გასვლამდე, შეჩერებამდე ან შეწყვეტამდე, თუ ამგვარი გადახდის მოთხოვნა სათანადოდ იქნება წარდგენილი აღნიშნული ვადის გასვლიდან, შეჩერებიდან ან შეწყვეტიდან 90 დღის განმავლობაში, და (ii) დასაბუთებული დანახარჯების (ადმინისტრაციული დანახარჯების ჩათვლით) გაწეული ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საქმიანობისათვის წინამდებარე შეთანხმების ვადის გასვლიდან, შეჩერებიდან ან შეწყვეტიდან 120 დღის განმავლობაში.

(დ) ნაწილი 6.2(გ)-ს გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ვადის გასვლისას, შეჩერებისას ან შეწყვეტისას (i) MCC-ს მიერ ჩამორიცხავი გრანტის ნებისმიერი თანხა ავტომატურად გათავისუფლდება წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებული ვალდებულებებისაგან მთავრობის და MCC-ს დამატებითი ქმედებების გატარების გარეშე (ii) MCC-ს მიერ მთავრობისათვის ჩამორიცხული გრანტის თანხა, რომელიც წინამდებარე შეთანხმების ვადის გასვლისას, შეჩერებისას ან შეწყვეტისას დახარჯული არ არის და დარიცხული პროცენტი დაბრუნებული უნდა იქნეს MCC-სათვის 30 დღის განმავლობაში მას შემდეგ რაც მთავრობა მიიღებს მოთხოვნას MCC-სგან აღნიშნულის უკან დაბრუნებაზე, და მთავრობა უზრუნველყოფს რომ აღნიშნული თანხა დაბრუნებული იქნება სწრაფად MCC-ს მიერ მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე.

(ე) MCC-ს შეუძლია აღადგინოს ნებისმიერი შეწყვეტილი ან შეჩერებული წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული გრანტი, თუ MCC გადაწყვეტს რომ მთავრობას ან სხვა დაკავშირებულ პირს ან უწყებას შეუძლია გამოასწოროს თითოეული ისეთი გარემო, რომლის გამოც შეჩერდა ან შეწყდა გრანტი.

ნაწილი 6.3 თანხების დაბრუნება.

(ა) თუ გრანტის სახსრები, მასზე დარიცხული პროცენტი ან გრანტის სახრებთან სრულად ან ნაწილობრივად დაკავშირებული ნებისმიერი აქტივი არღვევს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ პირობებს, მაშინ MCC-ს შეუძლია მოსთხოვოს მთავრობას დაუყოვნებლივ გადაუხადოს MCC-ს აშშ დოლარში გრანტის არასწორად გამოყენებული ნაწილი, პროცენტი, სარგებელი ან აქტივი და ასევე პროცენტი მთავრობის მიერ MCC-ს მიერ თანხის დაბრუნების შესახებ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შემდეგ 30 დღეში. მთავრობა არ გამოიყენებს გრანტის დაფინანსებას, აღნიშნულ სახსრებს, ან MCC-საგან მიღებულ სხვა სახსრებს, გრანტის სახსრებით შეძენილ აქტივებს ან სხვა სახსრებს ასეთი გადახდებისათვის.

(ბ) მიუხედავად წინამდებარე შეთანხმების ან ნებისმიერი სხვა შეთანხმებების საწინააღმდეგო დებულებისა, წინამდებარე შეთანხმების 6.3 (ა) ნაწილის შესაბამისად MCC-ს უფლებამოსილება თანხის დაბრუნებაზე გრძელდება წინამდებარე შეთანხმების მოქმედების პერიოდის განმავლობაში და (i) ხუთი წლის განმავლობაში ამის შემდეგ ან (ii) ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც MCC მიიღებს ასეთი დარღვევის შესახებ რეალურ შეტყობინებას, ამათგან რომელიც დადგება უფრო გვიან.

მუხლი 7. ზოგადი დებულებები

ნაწილი 7.1 მარეგულირებელი კანონმდებლობა; კონსულტაციები.

- (ა) წინამდებარე გრანტის შეთანხმება რეგულირდება და განიმარტება ნიუ-ორკის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად კანონმდებლობების პრინციპებთან ნებისმიერი წინააღმდეგობის გარეშე;
- (ბ) ნებისმიერი გაურკვეველობა წინამდებარე შეთანხმებასთან მიმართებაში გადაწყვეტილი იქნება მხარეების მიერ კონსულტაციების საფუძველზე.
- (გ) წინამდებარე შეთანხმებასთან ან შეთანხმებიდან წარმოქმნილ საკითხებთან დაკავშირებით, არც ერთი მხარე არ ჩაითვლება ნიუ-ორკის შტატის იურისდიქციის სასამართლოებისათვის ან ნებისმიერ სხვა სასამართლოს ან სასამართლო ორგანოსადმი დაქვემდებარებულად.

ნაწილი 7.2 წარმომადგენლობა. წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა მიზნით, მთავრობა წარმოდგენილი უნდა იყოს პირის მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც ფინანსთა მინისტრი ან უკავია აღნიშნული თანამდებობა და MCC წარმოდგენილი უნდა იყოს წარმოდგენილი პირის მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც კომპაქტის ოპერაციების ვიცე პრეზიდენტი ან უკავია აღნიშნული თანამდებობა (თითოეული „**მთავარი წარმომადგენელი**“). თითოეულს წერილობითი შეტყობინებით შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი დამატებითი წარმომადგენელი (თითოეული „**დამატებითი წარმომადგენელი**“) ნებისმიერი მიზნით, გარდა წინამდებარე შეთანხმების ცვლილებების ხელმოწერისა. ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეცვალოს თავისი მთავარი წარმომადგენელი ამ უკანასკნელის ეკვივალენტური ან მაღალი რანგის ახალი წარმომადგენელით, მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე

ნაწილი 7.3 კომუნიკაცია. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული MCC-სთან, ნებისმიერი დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად მოთხოვნილია ან წარდგენილია რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისადმი, უნდა იყოს წერილობით და ინგლისურ ენაზე იმ მხარის მთავარი წარმომადგენლისათვის და თუ შესაძლებელია შესაბამისი მხარის დამატებითი წარმომადგენლ(ებ)ისათვის, იმ მისამართზე რომელიც შეიძლება მიწოდებული იქნას დროდადრო.

ნაწილი 7.4 მონაწილე მხარეები. გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან წერილობით დროდადრო, წინამდებარე შეთანხმება და ნებისმიერი დაკავშირებული შეტყობინება, სერტიფიკატი, ინსტრუმენტი, შეთანხმება ან სხვა დოკუმენტი შესაძლოა ხელმოწერილი იყოს ცალ-ცალკე და როცა იქნება შესრულებული და წარმოდგენილი, იქნება ორიგინალი ინსტრუმენტი, მაგრამ ეს თითოეული ხელმოწერილი ერთობლივად მიიჩნევა როგორც ერთი შეთანხმება. ხელმოწერა რომელიც მიწოდებული იქნება ფაქსით ან ელექტრონულად, ჩაითვლება ხელმოწერის ირიგინალად და მხარეები ადასტურებენ რომ არ უარყოფენ ამგვარ ხელმოწერას ან ამგვარად ხელმოწერილი შეტყობინების, სერტიფიკატის, ინსტრუმენტის, შეთანხმების ან სხვა დოკუმენტის იურიდიულ ძალას ხელმოწერის იურიდიული ძალის ან მოქმედების საფუძველზე, მხოლოდ იმის გამო, რომ ის ფაქსის სახით ან ელექტრონული ფორმით არის წარმოდგენილი. ამგვარი ხელმოწერა მიმღები მხარის მიერ ცაითვლება

როგორც ხელმოწერის ორიგინალი და შესასრულებლად სავალდებულო იქნება ამგვარი ხელმოწერის უზრუნველმწოფი მხარის მიერ.

ნაწილი 7.5 მხარეებს შორის ურთიერთობა. წინამდებარე შეთანხმების არც ერთი დებულება არ გულისხმობს ამხანაგობის, სააგენტოს ურთიერთობების დამყარებას, ერთობლივი საწარმოს შექმნას, ან კაპიტალის ან მსგავსი ინტერესების წარმოქმნას მხარეებს შორის. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ან უფლებამოსილება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით, თუ ეს წერილობით არ არის ნებადართული მეორე მხარის მიერ.

ნაწილი 7.6 MCC-ს სტატუსი. MCC არის აშშ-ს სამთავრობო კორპორაცია, რომელიც მოქმედებს აშშ-ს სახელით წინამდებარე შეთანხმების განხორციელების მიზნით. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე MCC-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ კომპაქტით, დაცულია წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ქმედებისგან ან სასამართლო პროცესისგან და მთავრობა უარს აცხადებს ამგვარ ვალდებულებასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნაზე და პრეტენზიაზე. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკითხების შემთხვევაში, MCC არ ექვემდებარება სასამართლოს ან სხვა ორგანოების იურისდიქციას საქართველოში ან სხვაგან. გაუგებრობის თავიდან აცილებისათვის, MCC ჩათვლილი იქნება როგორც მესამე ბენეფიციარი მხარე ყველა მომსახურების მომწოდებელ კონტრაქტში.

ნაწილი 7.7 საჯაროობა; ინფორმაცია და აღნიშვნა. მთავრობა უზრუნველყოფს წინამდებარე შეთანხმების, როგორც პროგრამის სათანადო საჯაროობას, რომელშიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა MCC-ს საშუალებით მიიღო მონაწილეობა, წინამდებარე შეთანხმების ინგლისურ ენაზე განთავსებით MCC-ს თხოვნის შემთხვევაში, შეთანხმებულ ვებ-გვერდზე გრანტის ღონისძიებების იდენტიფიცირებით და მიღწეული შედეგების აღნიშვნით, რომელიც იქნება MCC-ს გლობარული აღნიშვნების სტანდარტების შესაბამისად, რომლის შესახებ MCC წერილობით აცნობებს მთავრობას ან MCC-ს ვებ-გვერდზე განთავსებით; ნებისმიერ პრესრელიზთან ან განცხადებასთან მიმართებაში ან ფაქტთან რომ MCC გასცემს გრანტს ან ნებისმიერ სხვა სარეკლამო მასალებზე MCC -სთან მიმართებაში საჭიროებს MCC-ს წინასწარ წერილობით თანხმობას. MCC განათავსებს ამ თანხმობას MCC-ს ვებ-გვერდზე. MCC-ს შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ნებისმიერი ინფორმაცია წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებით მიღებული ანგარიშებიდან ან დოკუმენტიდან.

ნაწილი 7.8 შემდგომ დახმარებასთან დაკავშირებით გრანტის არ არსებობა. წინამდებარე შეთანხმების არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს როგორც MCC-ს მხრიდან ვალდებულების წარმოქმნა, რომლის მიზანია შემოთავაზებულ ხელშეკრულებასთან, შეზღუდვის გარეშე ნებისმიერი დაფინანსების კომპაქტისათვის პირობის ჩათვლით ან საქართველოში ნებისმიერ სხვა პროექტთან ან პროგრამასთან დაკავშირებით გრანტის გარდა სხვა დაფინანსების ან დახმარებაზე უზრუნველყოფა.

ნაწილი 7.9 ცვლილება

(ა) წინამდებარე შეთანხმება შეიძლება შესწორდეს ან შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

(ბ) მიუხედავად 7.9 (ა) ნაწილისა, მთავრობა აქვე აღიარებს და თანხმდება, რომ მხოლოდ მისი ნებადართულ პირსა და MCC-ს წერილობითი შეთანხმებით არის შესაძლებელი ნებისმიერი დანართის ცვლილების პირველ დანართი აღწერილი ღონისძიების შეცვლის მიზნით; იმ პირობით, რომ ნებისმიერი ამგვარი ცვლილება (i) მატერიალური თვალსაზრისით შეესაბამება ამ შეთანხმების, (ii) არ იწვევს ნაწილში 1.1(ა) განსაზღვრული გრანტის თანხის საერთო ოდენობის გადაჭარბებას, (iii) არ იწვევს მთავრობის პასუხისმგებლობის ან წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული თანამონაწილეობის რესურსების შემცირებას, და (iv) არ გრძელდება წინამდებარე შეთანხმების ვადა წინამდებარე

შეთანხმების თარიღიდან მეხუთე წლის შემდეგ. ნებისმიერი ასეთი ცვლილება 7.9 (ბ) ნაწილის შესაბამისად არ საჭიროებს 7.9 (ა) ნაწილის შესაბამისად ცვლილებას.

ნაწილი 7.10 განუყოფილობა. თუ წინამდებარე შეთანხმების ერთი ან მეტი დებულება რომელიმე მოქმედი კანონის მიხედვით იურიდიულად შეუსრულებლად ჩაითვლება, ასეთი დებულებ(ებ)ა ამოღებული იქნება წინამდებარე შეთანხმებიდან და შეთანხმების დარჩენილი დებულებები განიმარტება ამგვარად ამოღებული დებულებ(ებ)ის გარეშე და ისინი შეინარჩუნებენ შესაბამის იურიდიულ ძალას.

ნაწილი 7.11 სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე უარის არარსებობა. წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებით მხარის მიერ ნებისმიერი უფლების ან სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებაში რაიმე დაგვიანება არ ჩაითვლება ასეთი უფლების ან სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე უარის თქმად.

ნაწილი 7.12 მოქმედების ხანგრძლივობის შენარჩუნება. მიუხედავად წინამდებარე შეთანხმების შეწყვეტის ამ მოქმედების ვადის გასვლისა, მთავრობის ვალდებულებები 2.11, 2.2, 6.3, 7.1, 7.2, 7.3 და 7.6 ნაწილებიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაწილი და მუხლი 5 რჩება ძალაში.

ნაწილი 7.13 შეთანხმების ენა. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ინგლისურ ენაზე და იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება შეუსაბამობას ინგლისურ ენაზე შედგენილ ვერსიასა და სხვა ნებისმიერ ენაზე თარგმნილ ვერსიას შორის, უპირატესობა მიენიჭება ოფიციალურ ინგლისურ ვერსიას.

ნაწილი 7.14 ინტერპრეტაცია. ნებისმიერი მითითება ტერმინზე „მათ შორის“ წინამდებარე შეთანხმებაში განიხილება, როგორც „მათ შორის, შეუზღუდავად“, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. თუ კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს (ა) ნებისმიერი განსაზღვრება ან მინიშნება ნებისმიერ შეთანხმებაზე, ინსტრუმენტზე ან სხვა დოკუმენტზე აქ იქნება განიმარტებული როგორც ასეთი შეთანხმება, ინსტრუმენტი ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც დროდადრო შედის ცვლილება, ემატება ან სხვაგვარად იცვლება (ექვემდებარება რაიმე შეზღუდვა აქ ჩამოყალიბებულ ცვლილებებს, დამატებებს ან სხვაგვარ ცვლილებებს). (ბ) სიტყვები „ამაში“, „ამაზე“ და „ ქვემოთ“, და მსგავსი სიტყვები იქნება გაგებული როგორც ამ მთლიან შეთანხმებაზე მიმართული და არა რომელიმე კონკრეტულ დებულებაზე. (გ) ყველა მიმართვა მუხლებზე, ნაწილებზე და დანართებზე იქნება გაგებული როგორც მიმართვა წინამდებარე შეთანხმების მუხლებზე, ნაწილებზე და დანართებზე, და (დ) MCC-სათვის მინიჭებული ნებისმიერი უფლების დამტკიცება დაკმაყოფილებული უნდა იყოს მხოლოდ MCC-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ. წინამდებარე შეთანხმებაში ნაწილის სათაურები არის მხოლოდ მოხერხებულობისათვის და არა წინამდებარე შეთანხმების აგებისა და განმარტებისათვის.

ნაწილი 7.15 მითითებები MCC-ის ვებ-გვერდზე. ნებისმიერი მითითება წინამდებარე შეთანხმებაში ან წინამდებარე შეთანხმებასთან კავშირში მყოფ ნებისმიერ სხვა შეთანხმებაში, დოკუმენტზე ან ინფორმაციაზე რომელიც ხელმისაწვდომია ან განთავსებულია, MCC-ს ვებ-გვერდი ხდება მითითება არსებულ ასეთი დოკუმენტის ან ინფორმაციის მისაღებად რომელიც დროდადრო ნახლდება ან იცვლება.

ნაწილი 7.16 მითითებები კანონებზე, რეგულაციებზე, კურსზე და დირექტივებზე. ნებისმიერი მითითება წინამდებარე შეთანხმებაში ან წინამდებარე შეთანხმებასთან კავშირში მყოფ ნებისმიერ სხვა შეთანხმებაში, კანონზე, რეგულაციაზე, კურსზე, დირექტივაზე ან მსგავს დოკუმენტზე, თუ აქ სხვაგვარად არ არის განმარტებული, იქნება როგორც მითითება ასეთ კანონზე, რეგულაციაზე, კურსზე, დირექტივაზე ან მსგავს დოკუმენტზე რომელშიც დროდადრო შედის ცვლილება, ნახლდება, იცვლება

ან ფართოვდება და მოიცავს გამოცემულს ან სხვაგვარად მოქმედ ნებისმიერ კანონს, რეგულაციას, კურსს, დირექტივას ან მსგავს დოკუმენტს.

ნაწილი 7.17 მთლიანი შეთანხმება. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა მთლიან შეთანხმებას წინამდებარე საგანთან მიმართებაში და აქვე ნახსენები გარიგებები ენაცვლება და აბათილებს ყველა წინა შეთანხმებას, განმარტებებს, მოლაპარაკებებს და წამომადგენლობებსა და გარანტიებს, გაცემულს ზეპირად ან წერილობით წინამდებარესთან დაკავშირებით.

ნაწილი 7.18 გრანტზე მითითება. ყველა შეტყობინებაში, თხოვნაში, ანგარიშში ან მიმოწერაში გრანტის სახსრებთან დაკავშირებით ნომერი - GR12GE212001 უნდა ჩანდეს შესაბამის დოკუმენტზე როგორც გრანტზე მითითება.

ხელმოწერების გვერდი არის მომდევნო გვერდზე

ყოველივე **ზემოაღნიშნულის დასტურად**, MCC-მ და მთავრობამ, თითოეული მოქმედი სათანადოდ უფლებამოსილი ხელმოწერი წარმომადგენლის საშუალებით, თავიანთი სახელით გააფორმეს და წარმოადგინეს წინამდებარე შეთანხმება ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღში.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია

საქართველოს მთავრობა, მოქმედი ფინანსთა
სამინისტროს მეშვეობით

სახელი: თომას ფ. ჰარლი
თანამდებობა: ვიცე-პრეზიდენტის მოადგილე,
კომპაქტის ოპერაციების

სახელი: დიმიტრი გვინდაძე
თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

დანართი "ა"
განმარტებები

წინამდებარე რეზიუმე კაპიტალიზირებული ტერმინების რომელიც გამოყენებულია აქ მოცემულია მკითხველისათვის მოხერხებულობის მიზნით. წინამდებარე "ა" დანართში და წინამდებარე შეთანხმების ტექსტში მითითებულ ტერმინებს შორის კოლიზიისა და შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე შეთანხმების ტექსტში მითითებულ განმარტებებს.

609(გ)-ს დეტალური ფინანსური გეგმას აქვს 4.1 (ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

609(გ)-ს განხორციელების გეგმას აქვს 4.1 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

609(გ)-ის განხორციელების გეგმის დოკუმენტს აქვს 4.1 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

609(გ)-ის შესყიდვების განხორციელების გეგმას აქვს 4.1 (ბ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ანგარიში და საბანკო რეკვიზიტებს აქვს 3.1(გ) (iv) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

აქტს აქვს შესავალში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ლონისძიებას და ლონისძიებებს აქვს 1.1 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

დამატებით წარმომადგენელს აქვს 7.2 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

შეთანხმებას აქვს პრეამბულაში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ბანკს აქვს 3.1(გ) (i) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

საბანკო შეთანხმებას აქვს 3.1(გ) (i) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

კომპაქტს აქვს შესავალში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

კონცეფციას აქვს შესავალში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

გათვალისწინებულ მომწოდებელს აქვს 5.2 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ჩამორიცხვას აქვს 3.1(ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ჩამორიცხვის პერიოდს აქვს 3.1(ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ჩამორიცხვის მოთხოვნას აქვს 3.1(ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

შესყიდვის ფედერალური რეგულაციები ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიწოდებისა და მომსახურების შეძენის ერთიან პოლიტიკას, კოდიფიცირებული 48 CFR-ზე თავი 1.

ფისკალური ანგარიშგების გეგმას აქვს 4.3 (ბ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ფისკალური აგენტს აქვს 4.3 (ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ფისკალური აგენტის ხელშეკრულებას აქვს 4.3 (ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

საქართველოს მთავრობის გადასახადების ანგარიშს აქვს 3.3 (ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

მთავრობას აქვს პრეამბულაში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

გრანტს აქვს 1.1 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

გენერალურ ინსპექტორს აქვს 5.5 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ყადაღას აქვს 2.2 (დ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

ადგილობრივ ანგარიშს აქვს 3.1(გ) (i) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

MCA-საქართველოს აქვს 2.2(ბ) (ii) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

MCA-საქართველოს ბაზინის ანგარიშს აქვს 3.2(ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

MCC-ს აქვს პრეამბულაში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

MCC-ს აუდიტის დირექტივებს აქვს 5.5 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
MCC-ს გარემოს დაცვის დირექტივებს აქვს 2.2(ლ) (ii)(3) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
MCC-ს მართვის სახელმძღვანელოს აქვს 2.2(ბ) (ii) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
MCC-ს დაზღვეული მხარეს აქვს 2.2(თ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
MCC-ს პროგრამის შესყიდვების დირექტივებს აქვს 4.2(ბ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
MCC-ს ანგარიშების დირექტივებს აქვს 5.1(ა) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
MCC-ს ვებ-გვერდს აქვს 2.2(ლ)(ii) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
სამინისტროს აქვს პრეამბულაში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
მიზანს აქვს შესავალში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
მხარეს და მხარეებს აქვს პრეამბულაში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
ნებადართულ ანგარიშს აქვს 3.1(გ) (i) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
უფლებამოსილ პირს აქვს 2.2(ბ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
მთავარ წარმომადგენელს აქვს 7.2 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
მომწოდებელს აქვს 5.2 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
ჩანაწერებს აქვს 5.3 ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
მომსახურების მომწოდებელს აქვს 4.1(გ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
მომსახურების მომწოდებლის კონტრაქტს აქვს 4.1(გ) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
გადასახადებს აქვს 2.2(მ)(i) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.
აშშ დოლარის ან US\$ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების კანონიერი ვალუტა დროდადრო.
დღგ-ს აქვს 2.2(მ)(ii) ნაწილში მინიჭებული ტერმინის მნიშვნელობა.

დანართი I

დახმარების აღწერა

გრანტი გამოყენებული იქნება შემდეგი ღონისძიებების მხარდასაჭერად::

1. ზოგადი განათლების გაუმჯობესების პროგრამა: მასწავლებელთა ტრენინგები გამოცდებისა და შეფასების ღონისძიებების მხარდასაჭერად. მასწავლებლების, სკოლის მენეჯმენტის, გამოცდებისა და შეფასების სფეროში ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამების შემუშავება.
2. გაუმჯობესებული ზოგადი განათლების პროგრამის ღონისძიებები: გაუმჯობესებული სასწავლო გარემოს ინფრასტრუქტურის ღონისძიებები. შერჩეული სკოლების მდგომარეობის შეფასება და რეაბილიტაცია მათ შორის გარემო და სოციალური პირობების გათვალისწინებით. სავარაუდო ხარჯების, დეტალური პროექტირების, შესყიდვების მასალების სპეციფიკაციების მომზადება. მხარდაჭერა სამუშაო გეგმის, განრიგის და ოპერაციების და მოვლა-შენახვის სტრატეგიის და საჭიროებების განსაზღვრის მომზადებაში.
3. სასწავლო პროცესი და მონაცემთა შეგროვება. შრომითი ბაზრის და ხელფასების შესწავლა, გენდერული და სოციალური ანალიზი, წინასწარი შეფასების დიზაინის კვლევა.
4. ფისკალური აგენტი. ფისკალური ადმინისტრაციული ღონისძიებები რომელიც მოიცავს ფისკალური აგენტის კონკურსის პირობებით შერჩევას და მობილიზაციას რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ დანართში და კომპაქტში აღწერილი ღონისძიებების განსახორციელებლად მოსამზადებელი სამუშაოები.
5. ადმინისტრაცია და მენეჯმენტი. ადმინისტრაციული ღონისძიებები რომელიც მოიცავს დაწყების ხარჯებს, კომპენსაციას და ტრენინგს და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხარჯები დაკავშირებული MCA-საქართველოს ან სხვა უფლებამოსილი პირის შექმნასთან. ხარჯები საერთაშორისო შესყიდვების მრჩეველის, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ ექსპერტიზას და ტრენინგს MCA-საქართველოსათვის.

დანართი II

გადასახადების გადახდის პროცედურები

1. სამინისტრო დააარსებს MCA-საქართველოს სახაზინო ანგარიშს და უზრუნველყოფს MCA-საქართველოსათვის ხელმისაწვდომობას ამ ანგარიშიდან თანხების ჩამორიცხვებზე.
2. არა უგვიანეს ყოველი წლის 15 აგვისტოსი, MCA-საქართველო მიაწვდის სამინისტროს ინფორმაციას კალენდარული წლის განმავლობაში გადასახდელი გადასახადების სავარაუდო ოდენობის შესახებ. სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნულის გათვალისწინებას.
3. სამინისტრო MCA-საქართველოს ამ თანხით უზრუნველყოფს მას შემდეგ რაც პარლამენტი დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს. თუ აღნიშნული თანხა არ იქნება საკმარისი გადასახადების დასაფარად, სამინისტრო მოიძიებს დამატებით სახსრებს ამ გადასახადების დაფარვის უზრუნველსაყოფად როგორც ეს მოთხოვნილია ამ ხელშეკრულების 2.2(მ) ნაწილში.
4. მომსახურების მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლების სახელით MCA-საქართველოს მიერ გადასახდელ გადასახადებს (გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული მოიცავს საშემოსავლო და მოგების გადასახადს) და დღგ-ს უკუდაბეგვრის, MCA-საქართველო გადაიხდის პირდაპირ ბიუჯეტში MCA-საქართველოს სახაზინო ანგარიშზე არსებული თანხებიდან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. დღგ-სთან მიმართებაში, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს საქართველოში ნებისმიერი მომსახურების მიმწოდებლისაგან მიწოდების კონტრაქტის ფარგლებში მისი ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, სასტუმროში განთავსების დღგ-ს ჩათვლით შეზღუდვის გარეშე, მომსახურების მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს ინვოისი MCA-საქართველოს შესაბამის დოკუმენტებთან ერთად რომელიც ადასტურებს ასეთი თანხების გადახდას. MCA-საქართველო მომსახურების მიმწოდებელს დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს თანხებს 30 დღის განმავლობაში MCA-საქართველოს სახაზინო ანგარიშდან როგორც ეს მოთხოვნილია ამ ხელშეკრულების 2.2(მ) ნაწილის მიხედვით.
6. სხვა ნებისმიერ გადასახადთან მიმართებაში რომელიც არ არის აღნიშნული დანართი II-ში, რომლებიც უნდა გადაიხადოს მთავრობამ ამ ხელშეკრულების 2.2(მ) ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნა გადახდაზე ან ანაზღაურებაზე უნდა წარედგინოს (ყველადაკაშირებულ დოკუმენტთან ერთად) MCA-საქართველოს და MCA-საქართველო დაუყოვნებლივ გადაიხდის ან ანაზღაურებს ამ გადასახადის თანხას 30 დღის განმავლობაში MCA-საქართველოს სახაზინო ანგარიშიდან.
7. MCC-ის შეუძლია პერიოდულად განახორციელოს MCA-საქართველოს სახაზინო ანგარიშის აუდიტი.

